

# სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურების პირობები

---

## მუხლი 1 საგანი და ტერმინთა განმარტება

**1.1.** წინამდებარე პირობები განსაზღვრავს სს „ტერაბანკის“ მიერ გამოშვებულ (ემიტირებული) და ნებისმიერი პირის (შემდგომში: „კლიენტი“/“სერტიფიკატის მფლობელი“) მიერ შეძენილ სადეპოზიტო სერტიფიკატებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოშვების, რეგისტრაციის, მიმოქცევის, გამოყენების, გასხვისების, დაფარვისა და სხვა მომიჯნავე საკითხებს.

**1.2.** სადეპოზიტო სერტიფიკატი არის საბანკო დეპოზიტი (ანაბარი) და იმავდროულად წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას სერტიფიკატის მფლობელი პირის მიმართ, სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებულ დღეს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით განსაზღვრული თანხა.

**1.3.** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს ან ამ პირობებით სხვაგვარადაა განსაზღვრული, გამოყენებულ ტერმინებს და ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**ამონაწერი** *ბანკში არსებული სერტიფიკატის რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების საფუძველზე, ბანკის მიერ სერტიფიკატის მფლობელისთვის გადაცემული დოკუმენტი, რაც ადასტურებს სერტიფიკატის ფლობის ფაქტს.*

**ანგარიში** *სერტიფიკატის მფლობელისთვის ბანკში გახსნილი მიმდინარე საბანკო ანგარიში*

**არასტანდარტული სერტიფიკატი** *ბანკის მიერ გამოშვებული სერტიფიკატი, რომლის პირობებიც არ შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანებით დადგენილი სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობებს*

**ბანკი** *სს ტერაბანკი ს.კ.204546045 მისამართი საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან წამებულის გამზირი #3; საბანკო ლიცენზიის #0110245, გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;*

**გადახდის დღე** *დღე, როდესაც ბანკს დადგენილი და განსაზღვრული აქვს ვალდებულების დაფარვა / შესრულება, იგივე - სერტიფიკატის დაფარვის დღე*

**განაცხადი** *ბანკის მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და სერტიფიკატის მფლობელისთვის მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო სერტიფიკატის გასხვისების დავალება და სხვა), რომელსაც სერტიფიკატის მფლობელი ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება სერტიფიკატის მფლობელის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.*

**ვებ გვერდი** *ბანკის ვებ გვერდი [www.terabank.ge](http://www.terabank.ge)*

**ინფორმაცია** *იგულისხმება ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაცემი, რომელიც უკავშირდება ბანკს, კლიენტს/სერტიფიკატის მფლობელს, მესამე პირს. მათ შორის, კონფიდენციალურ და პერსონალურ ინფორმაციას. თუკი კონტექსტიდან სხვაგვარად არ გამომდინარეობს*

**კლიენტი** *პირი, რომელიც ამ პირობების შესაბამისად, ბანკისგან იძენს სერტიფიკატს,*

**მესამე პირი** *ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს*

**მხარე** *ბანკი, როგორც სერტიფიკატის გამომშვები პირი (ემიტენტი) ან კლიენტი/სერტიფიკატის მფლობელი, როგორც სერტიფიკატის შემსყიდველი პირი (ერთ-ერთი კონტექსტის შესაბამისად)*

**მხარეები** *ბანკი და კლიენტი/სერტიფიკატის მფლობელი ერთობლივად*

<b>პირობები</b>	<i>წინამდებარე დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სერტიფიკატ(ებ)ის გამოშვების, რეგისტრაციის, მიმოქცევისა და დაფარვის ძირითადი/სტანდარტული პირობები. რომელიც წარმოადგენს ბანკის მიერ ემიტირებული სერტიფიკატ(ებ)ის განუყოფელ ნაწილს, განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, და მასზე თანხმობა გამოიხატება სერტიფიკატის მფლობელის მიერ ხელმოწერილი განაცხადით სერტიფიკატის შეძენის შესახებ. პირობები შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს ბანკის მიერ.</i>
<b>საბანკო დღე</b>	<i>კალენდარული დღე, შაბათ კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა, როდესაც ბანკი ღიაა და წარმართავს ჩვეულებრივ საბანკო საქმიანობას</i>
<b>სერტიფიკატი</b>	<i>წინამდებარე პირობების შესაბამისად, ბანკის მიერ გამოშვებული და კლიენტის მიერ შეძენილი ფინანსური ინსტრუმენტი (დეპოზიტი), რომელიც წარმოშობს ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს. სერტიფიკატი არ არის ფასიანი ქაღალდი</i>
<b>სერტიფიკატის გამოშვების პირობები</b>	<i>სერტიფიკატის შინაარსობრივი მახასიათებლები, იგივე, ბანკის შეთავაზების ძირითადი პირობები, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ბანკში. წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით და განუყოფელ ნაწილს, რომელშიც აღნიშნულია სერტიფიკატების სახეები, სერტიფიკატის ერთეულის რაოდენობა, ვადა, სარგებლის მაჩვენებელი (შემოსავლიანობის მონაცემი) და სხვა პირობები და რომელიც შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს ბანკის მიერ.</i>
<b>სერტიფიკატის მეორადი გასხვისება</b>	<i>კლიენტის პირის მიერ წინამდებარე პირობების შესაბამისად, სერტიფიკატის მესამე პირზე გადასვლა - მოთხოვნის უფლების გადაცემა</i>
<b>სერტიფიკატის თანხა</b>	<i>გამოშვებული სერტიფიკატის შესყიდვის ფასი, რომლის გადახდის სანაცვლოდ ხდება სერტიფიკატის შეძენა</i>
<b>სერტიფიკატის მფლობელი</b>	<i>კლიენტი ან ნებისმიერი პირი, რომელიც სერტიფიკატის მეორადი გასხვისების შედეგად შეიძენს სერტიფიკატს და აღირიცხება სერტიფიკატის რეესტრში</i>
<b>სერტიფიკატის ნომინალი</b>	<i>სერტიფიკატის თანხობრივი მახასიათებელი, რომელიც გამოხატულია და ტოლია სერტიფიკატის შესაძენად გადახდილი თანხისა და სერტიფიკატის სარგებლის ჯამის</i>
<b>სერტიფიკატის რეესტრი</b>	<i>ერთგვარი მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელსაც დამოუკიდებლად აწარმოებს ბანკი და რომელშიც აღრიცხულია ბანკის მიერ გამოშვებული სერტიფიკატების რაოდენობა, პირობები, მათი მფლობელი პირების შესახებ ინფორმაცია და სხვა მონაცემები</i>
<b>სერტიფიკატის სარგებელი</b>	<i>ბანკის მიერ სერტიფიკატის მფლობელის სასარგებლოდ გადასახდელი სერტიფიკატის სარგებელი, რომელიც გადაიხდება სერტიფიკატში მითითებული წლიური პროცენტის გაანგარიშებით ვადის ბოლოს სრულად (დისკონტური სერტიფიკატი) ან ყოველთვიურად ნაწილ-ნაწილ (საპროცენტო სერტიფიკატი)</i>
<b>სტანდარტული სერტიფიკატი</b>	<i>ბანკის მიერ გამოშვებული სერტიფიკატი, რომლის პირობებიც შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანებით დადგენილი სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობებს</i>
<b>ხელშეკრულება</b>	<i>ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული წინამდებარე პირობები, სერტიფიკატის გამოშვების პირობები, კლიენტის/ სერტიფიკატის მფლობელის მიერ ბანკისათვის წარდგენილი ხელმოწერილი განაცხადი, შეძენის შეთანხმება, ამონაწერი, მათი დანართები ან/და ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება სერტიფიკატის მომსახურებას და რომლის საფუძველზეც და პირობების შესაბამისადაც ბანკი ახორციელებს სერტიფიკატის მფლობელის მომსახურებას.</i>

## **მუხლი 2 ზოგადი დებულებები**

2.01 წინამდებარე პირობებში, თუკი კონტექსტით სხვაგვარად არ მოითხოვება, სიტყვები მხოლოდით რიცხვში მოიცავს მრავლობითს და პირიქით, ხოლო მუხლების დასათაურება მხოლოდ მოსახერხებელს ხდის ტექსტის წაკითხვას და არ ცვლის მის შინაარსს.

2.02 ხელშეკრულების შესრულების ადგილია ბანკის იურიდიული მისამართი.

2.03 სერტიფიკატის მფლობელი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებულ სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურების პირობებს და ბანკის სატანდარტულ ტარიფებს, საკომისიებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## **მუხლი 3 განცხადებები და გარანტიები**

3.01 ამ მუხლის გარანტიები და განცხადებები არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი იმისა, რომ მხარეები თანხმდებიან გარიგებაზე და დებენ ხელშეკრულებას.

3.02 სერტიფიკატის მფლობელი ადასტურებს, რომ მას აქვს სათანადო უფლებამოსილება, დადოს და ხელი მოაწეროს სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. ამასთან, ნებისმიერი საჭირო თანხმობა, ნებართვა, მათ შორის სახედამხედველო ორგანოს, მმართველი ორგანოს, დამფუძნებელი პირების, არის სათანადოდ მიღებული კლიენტის მიერ და მას შემენილი აქვს საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობა, დადოს, დაიცვას და შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

3.03 სერტიფიკატის მფლობელი ადასტურებს და პირობას დებს, რომ:

- (ა) არის უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი მის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან დოკუმენტი არის უტყუარი, მართებული და შესაბამეა მის ნამდვილ ნებას;
- (ბ) ხელშეკრულების დადება არ იწვევს მის მიერ გაფორმებული სხვა გარიგების პირობის დარღვევას;
- (გ) ხელშეკრულების დადების მიზნით, ბანკის ან/და მესამე პირების მხრიდან ადგილი არ ჰქონია მოტყუებას, მუქარას ან რაიმე ძალადობრივ ქმედებას;
- (დ) იცნობს ბანკის მიერ შეთავაზებული სერტიფიკატის პირობებს.

3.04 სერტიფიკატის მფლობელი აცნობიერებს, რომ ბანკი იღებს ამ მუხლის განცხადებებს და გარანტიებს წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საფუძველს ბანკისთვის, დააფუძნოს სერტიფიკატის მფლობელთან ურთიერთობები და დადოს ხელშეკრულება. შესაბამისად, განცხადებებისა და გარანტიების პირობების დარღვევა ქმნის საკმარის სამართლებრივ საფუძველს, ბანკის მიერ ხელშეკრულებაზე გაღმხრივად უარის სათქმელად.

## **მუხლი 4 სერტიფიკატის შექმნა**

4.01 სერტიფიკატის შესაქმნად საჭიროა, კლიენტის მხრიდან სერტიფიკატის შექმნის შესახებ განაცხადის შევსება, ბანკისათვის მიწოდება.

4.02 სერტიფიკატის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ ბანკის ნებაზე. ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს შექმნის განაცხადს და იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი შეხედულებისამებრ. შექმნის განაცხადი არ ავალდებულებს ბანკს, ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს სერტიფიკატი.

4.03 ბანკის მიერ შექმნის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, ბანკმა კლიენტის ანგარიშიდან უაქციპტო წესით ჩამოჭრას სერტიფიკატის თანხა და უზრუნველყოს მისი გადატანა ბანკის შესაბამის საბანკო ანგარიშზე. ხოლო თუ კლიენტის ანგარიშზე ზემოხსენებული თანხა არის განთავსებული, ან არასაკმარისია, კლიენტი ვალდებულია სერტიფიკატის მიღებამდე უზრუნველყოს აღნიშნული თანხის თავის ანგარიშზე განთავსება.

4.04 კლიენტის მიერ ანგარიშზე თანხის განთავსების შემდეგ მხარეთა შორის იდება სერტიფიკატის შექმნის შეთანხმება, რის საფუძველზეც სერტიფიკატის მფლობელის მონაცემები აღირიცხება სერტიფიკატების რეესტრში.

## **მუხლი 5 მომსახურების პირობები**

5.01 სერტიფიკატის შექმნამდე და ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია, ბანკში იქონიოს აქტიური საბანკო ანგარიში. სერტიფიკატის შექმნა, სარგებლის მიღება, სერტიფიკატის გამოსყიდვა და დაფარვა (განაღდება) უნდა განხორციელდეს აღნიშნული ანგარიშის მეშვეობით, რომლის რეკვიზიტებიც მიეთითება ამონაწერში.

5.02 სერტიფიკატზე თანხის დამატება, ნაწილობრივ დაფარვა, ნაწილობრივ გასხვისება და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

5.03 დაუშვებელია გაყიდული სერტიფიკატის პირობების ცვლილება.

5.04 სტანდარტული სერტიფიკატი არის არამატერიალური ფორმის და სერტიფიკატის ფლობის დამადასტურებელია, სერტიფიკატის მფლობელის შესახებ ბანკში არსებული სერტიფიკატების რეესტრში რეგისტრირებული ჩანაწერი. ხოლო, არასტანდარტული სერტიფიკატი შეიძლება არსებობდეს მატერიალიზებული ფორმით;

5.05 ერთ სერტიფიკატს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი მფლობელი.

5.06 ბანკი უფლებამოსილია, განკარგოს სერტიფიკატის თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ.

5.07 სერტიფიკატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.08 თუ სერტიფიკატის დაბრუნების ან/და მასზე დარიცხული სარგებლის ანგარიშზე განთავსების თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, სერტიფიკატის მფლობელის მიერ თანხის გატანა (გადარიცხვა) განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

## **მუხლი 6 სერტიფიკატის მეორადი გასხვისება**

6.01 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია, გაასხვისოს სერტიფიკატი. სერტიფიკატის გასხვისება შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს, როგორც ბანკზე (ვადამდე გამოსყიდვა), ისე, მესამე პირზე (მეორადი გასხვისება). შესაძლებელია სერტიფიკატის მრავალჯერ გასხვისება ყოველი ახალი მფლობელის მიერ.

6.02 მესამე პირზე სერტიფიკატის გასხვისებისას, სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია, შემძენი მოიძიოს თავად ან ბანკის შუამავლობით. ასევე, მეორადი სერტიფიკატის შეძენით დაინტერესებული მესამე პირი, უფლებამოსილია, მიმართოს ბანკს უკვე გამოშვებული კონკრეტული სერტიფიკატის მფლობელისაგან შეძენის განაცხადით.

6.03 სერტიფიკატის გასხვისების ან მესამე პირის მხრიდან შეძენის განაცხადის წარდგენა არ ავალდებულებს ბანკს, მოიძიოს სერტიფიკატის შეძენის ან გასხვისების მსურველი პირები. ნებისმიერ შემთხვევაში, სერტიფიკატის მეორადი გასხვისება/მესამე პირის მიერ შეძენა დაუშვებელია, ბანკის მონაწილეობის გარეშე, რა დროსაც ბანკი უზრუნველყოფს გარიგების მხარეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობათა შესაბამისობას, ბანკის მიერ დადგენილ წესებთან და ხელშეკრულების შედეგების სერტიფიკატის რეესტრში პარალელურად ასახვას.

6.04 ბანკი უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ მიიღოს (არ დაარეგისტრიროს) სერტიფიკატის მფლობელის მიერ შერჩეულ ახალ მყიდველთან სერტიფიკატის მეორადი გასხვისების ხელშეკრულება.

6.05 სერტიფიკატის ყოველი გასხვისების შემთხვევაში, სერტიფიკატის მფლობელი ან შემძენი ვალდებულია, ბანკს გადაუხადოს სერტიფიკატის მეორადი გასხვისების საკომისიო, რომლის ოდენობაც მითითებულია სერტიფიკატში.

6.06 სერტიფიკატის მეორადი გასხვისებისას, სერტიფიკატის შემძენის მიმართ სრულად მოქმედებს ბანკის მიერ განსაზღვრული სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურების პირობები. სერტიფიკატის ყოველი გასხვისებისას, სერტიფიკატის შემძენზე უცვლელად გადადის სერტიფიკატის ის პირობები, რა პირობებითაც, ის ეკუთვნოდა მფლობელს.

6.07 სერტიფიკატი გასხვისებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც სერტიფიკატის მყიდველი ბანკში გასხვისის ანგარიშს; ბანკი მის მიერ დადგენილი ფორმით, მიიღებს სერტიფიკატის გასხვისების განაცხადს/დავალებას; განხორციელდება ბანკის მიმართ ანგარიშსწორება; და ბანკი სერტიფიკატის გასხვისების თაობაზე შესაბამის ჩანაწერს გააკეთებს სერტიფიკატის რეესტრში.

6.08 სერტიფიკატის გასხვისებისას, ფასთაშორისი სხვაობის (თავდაპირველი შეძენის და გასხვისების ფასი) სახით არასაპროცენტო შემოსავლის მიღებისას, სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია და პასუხისმგებელია თავად უზრუნველყოს ფასთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავლის დეკლარირება ან/და შესაბამისი გადასახადის გადახდა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## **მუხლი 7 ვადამდე გამოსყიდვა, დაფარვა (განაღდება)**

7.01 სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში, ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს თავად შეიძინოს - ვადამდე გამოსყიდოს სერტიფიკატი მფლობელისაგან, სერტიფიკატის გამოშვების პირობებით წინსწარ განსაზღვრული ან მისგან განსხვავებული საფასურის (მხარეთა მიერ ახალ საფასურზე შეთანხმების შემთხვევაში) გადახდის გზით. ამასთან, სერტიფიკატის ვადამდე გამოსყიდვა წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ბანკის ვალდებულებას.

7.02 სერტიფიკატის ვადამდე გამოსყიდვის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია: (ა) ცალმხრივად გამოსყიდოს სერტიფიკატი და (ბ) სერტიფიკატის გამოსყიდვის საფასური ჩარიცხოს სერტიფიკატის მფლობელის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე.

7.03 ბანკის მიერ სერტიფიკატის ვადამდე გამოსყიდვით და სერტიფიკატის დაფარვით წყდება ხელშეკრულება და სერტიფიკატს სარგებელი აღარ დაერიცხება.

7.04 სერტიფიკატის გამოშვების პირობებით მხარეთა შორის შეთანხმებული სერტიფიკატის ვადის დადგომისას, სერტიფიკატის დაფარვის (განაღების) მიზნით, სერტიფიკატის გამოშვების პირობებით განსაზღვრულ თანხას ბანკი ჩარიცხავს სერტიფიკატის მფლობელის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე. ბანკი პასუხს არ აგებს სერტიფიკატის დაფარვისას (განაღებისას) სერტიფიკატის მფლობელის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებული შეზღუდვებისათვის (ინკასო, ყადაღა და სხვა).

## **მუხლი 8 სარგებელი**

8.01 სერტიფიკატს ერიცხება სარგებელი მხარეთა მიერ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად

- (ა) ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის იმ რიცხვში, რომელ რიცხვშიც ხელი მოეწერა სერტიფიკატს (საპროცენტო სერტიფიკატი). თუ მიმდინარე კალენდარული თვე არ შეიცავს მოცემულ რიცხვს, სარგებლის დარიცხვა განხორციელდება აღნიშნული თვის ბოლო საბანკო დღეს.
- (ბ) სერტიფიკატის ვადის დასრულების კალენდარული თვის ბოლოს საბანკო დღეს (დისკონტური სერტიფიკატი).
- (გ) იმ შემთხვევაში, თუკი ნებისმიერ ვალდებულებაზე გადახდის დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო საბანკო დღეს.

8.02 სარგებლის დარიცხვა და სერტიფიკატის დაფარვა (განაღდება) ხორციელდება სერტიფიკატის მფლობელის მიმდინარე საბანკო ანგარიშის მეშვეობით.

## **მუხლი 9 ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 9.01 ხელშეკრულება ძალაში შედის სერტიფიკატის მფლობელის მიერ სერტიფიკატის შეძენის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
- 9.02 სერტიფიკატი კონკრეტულ მფლობელთან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხდება მფლობელის მიერ სერტიფიკატის მეორადი გასხვისებით ან ბანკის მიერ სერტიფიკატის ვადამდე გამოსყიდვით.
- 9.03 სერტიფიკატის გამოშვების პირობებით მხარეთა შორის შეთანხმებული სერტიფიკატის ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 9.04 ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლით დადგენილი პირობების დაცვა მხარეებს ევალებათ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.05 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა და სერტიფიკატის თანხის ვადამდე მოთხოვნა ბანკისაგან, სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, დაუშვებელია.

## **მუხლი 10 კონფიდენციალურობა**

თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, მკაცრად დაიცვას მეორე მხარისაგან მიღებული ფინანსური, კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობისას ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## **მუხლი 11 უაქცეპტო წესით თანხების მიღების უფლება**

კლიენტი/სერტიფიკატის მფლობელი თანახმაა, ხოლო ბანკი უფლებამოსილია, სერტიფიკატის მფლობელის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოაჭრას საბანკო ანგარიშ(ებ)იდან ბანკისთვის გასახდელი ნებისმიერი თანხა, როგორც მოთხოვნის არსებობისას, ისე კონკრეტული ვალდებულების დაფარვის დღეს. ამასთან, ნებისმიერი გადასახდელის ჩამოჭრისას, შესაბამისი ვალუტის არარსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ბანკში ჩამოჭრის დღეს დადგენილი კომერციული გაცვლითი კურსით მოახდინოს შესაბამისი თანხის კონვერტაცია და მიიღოს არსებული ვალდებულების ვალუტის შესაბამისი თანხა.

## **მუხლი 12 შეტყობინებები**

- 12.01 მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუკი ხელმოწერილია მხარის მიერ და ჩაბარდა მეორე მხარეს.
- 12.02 შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას, ან შეუძლებელი იქნება შეტყობინების გადაცემა ადრესატის ადგილზე ერთ შემთხვევაზე მეტჯერ არყოფნის გამო.
- 12.03 ბანკი უფლებამოსილია, შეტყობინება გაუგზავნოს სერტიფიკატის მფლობელს ერთ-ერთ ჩამოთვლილი საშუალების გამოყენებით:
- (ა) წერილობით - ბანკისთვის მიწოდებულ ან სხვა ცნობილ მისამართზე წერილის გაგზავნის გზით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, მოიძიოს სერტიფიკატის მფლობელის ალტერნატიული მისამართი (სამოქალაქო / სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ან სხვა) და გააგზავნოს მოძიებულ მისამართზე შეტყობინება. წერილობითი შეტყობინების ჩაბარებისას, ბანკი უფლებამოსილია, ჩააბაროს შეტყობინება გაგზავნილ მისამართზე მყოფ ნებისმიერ პირს, მიუხედავად შეტყობინების შინაარსისა;
  - (ბ) ელექტრონული ფორმით - ბანკისთვის ცნობილ ელექტრონულ მისამართზე ან სერტიფიკატის მფლობელის ინტერნეტბანკის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით;
  - (გ) სატელეფონო საშუალებით - სერტიფიკატის მფლობელის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ბანკის მიერ მოძიებული ალტერნატიული სატელეფონო ნომრის გამოყენებით შეტყობინების გადაცემისას.
- 12.04 მხარე ვალდებულია, ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში შეატყობინოს მეორე მხარეს რეგისტრირებული ან ფაქტობრივი მისამართის, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის ნომრის ან/და რეგისტრაცია-სავალდებულო ფაქტების ცვლილებების შესახებ. ბანკი ვიდრე არ მიიღებს სერტიფიკატის მფლობელის შეტყობინებას, ნებისმიერი შეტყობინებისთვის და კორესპონდენციისთვის გამოიყენებს იმ ინფორმაციას, რაც მისთვის ცნობილია სერტიფიკატის მფლობელისგან.

## **მუხლი 13 საკომისიო და ხარჯი**

ბანკი უფლებამოსილია, კლიენტს გადაახდევინოს სერტიფიკატის გამოშვების პირობებით განსაზღვრული საკომისიო. საკომისიოს გადახდა, როგორც წესი, ხდება წინასწარ, მისი წარმოშობისთანავე, თუ ხელშეკრულებით ან დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## **მუხლი 14 პრეტენზიები და მათი განხილვა**

სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია, ბანკს წარუდგინოს პრეტენზია ზეპირი, წერილობითი და/ან ელექტრონული ფორმებით. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ ფილიალში, სერვისცენტრში ან სათავო ოფისში. პრეტენზიაზე წერილობითი პასუხის ვადა განისაზღვრება ბანკის შიდა პროცედურების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ოცდაათი (30) დღის ვადისა. წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებში, სერვისცენტრებში და ვებ-გვერდზე.

### **მუხლი 15 ფორს-მაჟორი**

15.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, საომარი მოქმედებებით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით და სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით;

15.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე, მაგრამ არა უმეტეს 3 (სამი) თვის ვადისა;

15.3. ფორს-მაჟორული გარემოების 3 (სამი) თვით და მეტი ვადით გახანგრძლივების შემთხვევაში მხარეები განიხილავენ ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ საკითხს. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება.

### **მუხლი 16 მოქმედი სამართალი და დავის გადაწყვეტის წესი**

16.01 პირობები შედგენილია მოქმედი ქართული სამართლის შესაბამისად და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა. ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული პირობებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16.02 პირობების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ანდა ქვეპუნქტ(ებ)ის კანონმდებლობის საფუძველზე ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი და ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ ძალას.

16.03 სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია, სერტიფიკატის მომსახურების თაობაზე პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში წერილობითი, ზეპირი ან ელექტრონული ფორმით აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ.

16.04 მხარეებს შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობისას, დავას განიხილავს საქართველოს უფლებამოსილი სასამართლო. მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

### **მუხლი 17 სხვა პირობები**

17.01 ბანკი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობები. ბანკი სერტიფიკატის მფლობელს აღნიშნულის თაობაზე შეატყობინებს ბანკის საინფორმაციო საშუალებების (ბანკის ვებ-გვერდზე ცვლილებების განთავსებით ან/და პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის არხებით) მეშვეობით;

17.02 ბანკის მიერ პირობებით ნებისმიერი უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე ბანკის მიერ უარის თქმას.

17.03 პირობებიდან გამომდინარე, უფლებები და ვალდებულებები სრულად ვრცელდება სამართალმემკვიდრეზე და უფლებამონაცვლეზე.

17.04 პირობები შედგენილი და გამოქვეყნებულია (ბანკის ვებ-გვერდზე) ქართულ ენაზე.